ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5864738

ნომერი: AR1887059

თარიღი : 16.03.2022

გაცემის თარიღი : 24.03.2022

გაცნობის თარიღი : 24.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 34, ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N 34ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბერულავა პ/ნ 01008015861
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 3 ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16 მარტს №AR1887059 განცხადებით მომართა დავით ბერულავამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 14

ივნისის №5447554 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ორგანიზების პროექტთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 07 ივნისის №5436040 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №34-ში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №34ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.09.004.106) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 14 ივნისიდან 2023 წლის 14 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2021 წლის 14 სექტემბრის №5595835 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 7 ივნისის №5436040 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. ასევე, სამსახურის 2021 წლის 7 ივნისის №5436040 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2021 წლის 28 ივნისის №AR1834410 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არასწორად არის მითითებული ნიშნულები მე-5, მე-6 და მე-7 ეტაპებში. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკი შეადარა სამსახურის 2021 წლის 07 ივნისის №5436040 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ გეგმებზე, ჭრილებზე და ფასადებზე +9.40, +19.00 და +30.89 ნიშნულები არ არსებობს. ამასთან, მშენებლობის ორგანიზების პროექტის აღწერილობით ნაწილში მე-5, მე-6 და მე-7 ეტაპებში სწორად დაფიქსირდა +13.50, +26.70, +40.75 ნიშნულები. თუმცა, მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში, ისევე როგორც სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა აღწერილობითი ნაწილისგან განსხვავებული ნიშნულები (+9.40, +19.00 და +30.89).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მე-5, მე-6 და მე-7 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5) ძირითადი კარკასის მონტაჟი +13.50 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუქციების გამოკლებით)
6) ძირითადი კარკასის მონტაჟი +26.70 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუქციების გამოკლებით)
7) ძირითადი კარკასის მონტაჟი +40.75 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუქციების გამოკლებით“.
2. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივნისის №5447554 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.